

# შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/84

თბილისი

“ 27 “ ნოემბერი 2017 წ.

მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის და დოკუმენტებში ცვლილებების შესახებ

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, გთუნ-ის წესდების მე-5 მუხლის, გთუნ-ის პარტნიორთა კრების ოქმის ამონაწერის, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის, გთუნ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წ. 24 ნოემბრის სხდომის № 6 ოქმის ამონაწერის და იურიდიული განყოფილების უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

## § 1

დამტკიცდეს 2018-2019 სასწავლო წლისათვის შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტი დანართის შესაბამისად:

დანართი: 2 ფ.

## § 2

უნივერსიტეტის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის და დამტკიცდეს ახალი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულებები.

## § 3

უნივერსიტეტის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის 2017-2024 წწ. სტრატეგიული განვითარების, 2017-2021 წწ. სამოქმედო გეგმები, მისია და დამტკიცდეს ახალი შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის 2017-2024 წწ. სტრატეგიული განვითარების, 2017-2021 წწ. სამოქმედო გეგმები და მისია.

## § 4

უნივერსიტეტის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით შევიდეს ცვლილება სახელობითი და ჩვეულებრივი სტიპენდიების მინიჭების წესში, კერძოდ:

1. შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სახელობითი და ჩვეულებრივი სტიპენდიების მინიჭების წესს“ შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სახელობითი და ჩვეულებრივი სტიპენდიების მინიჭების წესი“.

2. აღნიშნული წესის 1.2. მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

1.2. სტიპენდია არის ფულადი ჯილდო, რომელიც არ წარმოადგენს შრომის ანაზღაურებას. სტიპენდია შეიძლება დაენიშნოს ნებისმიერ ფრიადოსან სტუდენტს (უმალესი განათლების პირველ საფეხურზე).

3. აღნიშნული წესის 1.4.-1.5. მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.4. შერჩევის საფუძველზე „სტიპენდია“ გაიცემა ყოველთვიურად ერთი სემესტრის განმავლობაში. თუ სტუდენტისათვის სტიპენდიის მინიჭების წესის თანახმად, არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება „სტიპენდიის“ ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.

1.5. უნივერსიტეტის თითოეულ ფაკულტეტზე ოთხ სტუდენტს ენიჭება სტიპენდია ერთი სემესტრის განმავლობაში. აქედან შესაბამის სასწავლო, წელზე სტიპენდიას მიიღებს მხოლოდ ერთი სტუდენტი. სტიპენდიის მოპოვება არ გამორიცხავს იმავე სტუდენტის მიერ შემდეგ სემესტრში სტიპენდიის მიღების შესაძლებლობას. ოთხი სტიპენდიიდან ერთი არის სახელობითი (გურამ თავართქილაძის სახელობის სტიპენდია) დანარჩენი სამი კი ჩვეულებრივი სტიპენდია.

4. აღნიშნული წესის 2.2 და 2.4. მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2.2 სტიპენდიის მოპოვების უფლება აქვს იმ სტუდენტს, რომელსაც წინა სემესტრში ყველა საგანში აქვს შეფასება ფრიადი, გამოირჩევა მაღალი ზნეობითა და

დისციპლინით. თუ შესაბამის სასწავლო წელზე მყოფ არცერთ სტუდენტს არ აქვს შეფასება ფრიადი ყველა დისციპლინაში სტიპენდიის გამოყენება სხვა სასწავლო წელზე მყოფი სტუდენტისათვის დაუშვებელია.

2.4. სტუდენტს უფლება აქვს ყოველ მომდევნო სემესტრში განმეორებით მიიღოს სტიპენდია ამ დებულებით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

## § 5

უნივერსიტეტის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით შევიდეს ცვლილება უნივერსიტეტის შინაგანაწესში, კერძოდ:

1. შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“-ს შინაგანაწესს ეწოდოს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“-ს შინაგანაწესი.
2. შინაგანაწესის მე-2 მუხლის 1,4 და 5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:
  1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“ (შემდგომში უნივერსიტეტი) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ კომერციულ იურიდიულ პირს, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობას. უნივერსიტეტის შემოკლებული სახელწოდებაა „გთუნი“.
4. უნივერსიტეტის ინტერნეტ-გვერდია: [www.gtuni.edu.ge](http://www.gtuni.edu.ge)
5. ინგლისურ ენაზე უნივერსიტეტის სახელწოდება არის: Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University.

დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

რექტორი

გიორგი მათიაშვილი